

ახალი შენათქვამი

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/
Akhali Ganatleba

№36 (910) ბაზოლის 1998 წლიდან

26.11-02.12.2020

2

ლალი თვალაზიშვილი

რა უფლება გვაქვს,
რომ ეს ვითარება
არ გავითვალისწინოთ
და არაფერი
არ შევცვალოთ?

➔ ინტერვიუ კანა ჯამბურიასთან

4

ბაკა ყიფიანი

როგორც არასდროს,
ერთიანობა დღეს
ყველაზე
მნიშვნელოვანია

➔ ინტერვიუ გიორგი ფსაკავესთან

Tbilisi
World Book Capital 2021

United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ვაურეზიფაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

➔ ჰიოქტის პიხელი ეტაპი ნემეხაციული თანმიმდევრებით მოიცავს თბილისის 62 საჯარო სკოლას. თითოეულ სკოლას 900 ლაის ლიხებულების ვაურეზი გადაეცემა, ხომლითაც საჯარო სკოლაში მოქმედი 30-ზე მეტი გამომცემლობისა და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციის წიგნებს შეიძენენ.

3

ანა ფირსხალიაშვილი

სსსმ მოსწავლეები
სასწავლო პროცესის
მიღმა რომ
არ ღარდნენ

6

თამარ დვლარიანი

იყო და არა იყო რა,
ანუ როგორ მოვხვდი
სვანეთიდან
ჯავახეთში

რა უფლება გვაქვს, რომ ეს ვითარება არ გავითვალისწინოთ და არაფერი არ შევსვალოთ?

⇒ გვესაუბრება ქახა ჯამბურია, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

– ბატონო ქახა, დისტანციური სწავლების ფონზე, ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილებები მომავალი წლის ეროვნულ გამოცდებში?

– დისტანციურმა სწავლების პროცესმა თავისთავად მოიტხოვა დისტანციური შეფასების მექანიზმის შექმნაც, რაზეც ჩვენს ცენტრში მანამდე დაიწყო ფიქრი, სანამ პანდემია დაიწყებოდა. ჯერ კიდევ 2019 წელს, განათლების მაშინდელ მინისტრთან შეთანხმებით, ჩვენმა ცენტრმა გადაწყვიტა ისეთი ელექტრონული პლატფორმის შერჩევა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, მთლიანად ელექტრონული ფორმით ჩატარებული ტესტირება საკლასო ოთახებში. საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილმა ჯგუფმა შეარჩია ის კომპიუტერული პროგრამა, რომლითაც ტარდება საერთაშორისო შეფასება (საგანმანათლებლო სფეროს მიღწევების კვლევა) – PISA, რომელშიც ჩვენს ქვეყანასაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა. უკანასკნელი კვლევის შედეგების ანალიზი ახლახან გამოქვეყნდა (სამწუხაროდ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საუკეთესო მიღწევებით ნაღვილად ვერ მოვიწონებთ თავს).

2019 წელს საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილმა ჯგუფმა მოამზადა მე-4 და მე-6 კლასელთა მიღწევების შესაფასებლად დავალებები მათემატიკაში, ასევე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ჩატარდა წინასწარი საცდელი ტესტირებები და ახლა უკვე მზად ვართ ფართომასშტაბიანი აპრობაციის (ე.წ. პილოტირების) ჩასატარებლად. ასეთი ფართომასშტაბიანი პილოტირების ჩატარება საშუალებას მოგვცემდა ზუსტად გვცოდნოდ, შევძლებდით თუ არა დიდი რაოდენობის მოსწავლეებთან ტესტირების ჩატარებას მთლიანად ელექტრონული ფორმატით. თუ ეს აპრობაცია წარმატებული იქნებოდა, შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ჯერ სასკოლო ოლიმპიადების, შემდეგ კი უკვე მისაღები თუ სასკოლო გამოცდების ელექტრონულად ჩატარებაზე ფიქრიც; მაგრამ, სამწუხაროდ, შევფერხდით, ოღონდ არა პანდემიის, არამედ უსახსრობის გამო. ჩვენ დავინწყეთ წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოები ჩვენი რესურსებით, მსოფლიო ბანკის იმედი: წინასწარი მოლაპარაკება გვაძლევდა საფუძველს გვეფიქრა, რომ მსოფლიო ბანკი დაგვაფინანსებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, დაფინანსება არ დაწყებულა.

ასე რომ, არსებობს ელექტრონული პლატფორმა, რომლის გამოყენება ფართომასშტაბიანი ტესტირებისთვის პრინციპულად შესაძლებელია (მას ამ მიზნებისათვის წარმატებით იყენებენ საფრანგეთსა და იტალიაში), მაგრამ მრავალი წინასწარი საცდელი ტესტირების ჩატარება საჭირო იმისათვის, რომ გავარკვიოთ – შეიძლება თუ არა მისი გამოყენება ე.წ. მაღალი რისკის გამოცდების ჩასატარებლადაც.

ამდენად, ჯერჯერობით, ტექნიკური თვალსაზრისით, ცენტრი არ არის მზად, რომ მეთვით და მეექვსე კლასელთა ტესტირება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სრულად ელექტრონულად (საჭიროების შემთხვევაში – დისტანციურად) ჩატარდეს. დისტანციურად ამ ეტაპზე ვერც ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩავატარებთ, რადგან მეთვალყურეობის დისტანციური სისტემა არა გვაქვს. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ წელს პირველად ჩავატარეთ დისტანციურად სასკოლო ოლიმპიადის პირველი ტური მთლიანად ელექტრონულ ფორმატში და ეს უკვე იმედს იძლევა, რომ სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში ცენტრი შეძლებს ამ მიმართულებით წარმატების მიღწევას.

– აბიტურიენტები, რომლებმაც მე-11 კლასის მეორე სემესტრი დისტანციურად დახურეს და მე-12 კლასსაც, როგორც ჩანს, დისტანციურად გაივლიან, იქნებიან სრულფასოვნად მზად გამოცდებისთვის, თუ საგამოცდო პროგრამები გარკვეულ ცვლილებას განიცდის, მოერგება არსებულ რეალობას.

– რაც შეეხება ეროვნული გამოცდების შინაარსობრივ მხარეს, მცირედენი ცვლილებები აუცილებლად იქნება, რადგან არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. სწავლების ეს ახალი ფორმა მთელ მსოფლიოში ქმნის გარკვეულ პრობლემებს და, ცხადია, ვერც საქართველო იქნება გამონაკლისი. ცხადია, მოსწავლეები აშკარად განსხვავებულ ვითარებაში არიან, ვიდრე 2-3 წლის წინ იყვნენ მათი თანატოლები. რა უფლება გვაქვს, რომ ეს ვითარება არ გავითვალისწინოთ და არაფერი არ შევცვალოთ?

2020 წლის საგამოცდო ტესტების შედგენის დროსაც გაითვალისწინეს ცენტრის ექსპერტებმა შექმნილი ვითარება (სასწავლო წლის დასასრული რომ მთლიანად დისტანციურად ჩატარდა) და არსებულ რეალობას მოარგეს საგამოცდო დავალებები – ტესტებში ფაქტობრივად არ იყო შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ის მასალა, რომელიც სასწავლო წლის დასასრულს უნდა გაეცლით მოსწავლეებს. ამას დიდი პრობლემა არც შეუქმნია, რადგან ჩვენი საგამოცდო ტესტების ძირითადი ნაწილი ამონიშნებს სწავლების შედეგს და არა სასწავლო მასალის დაზეპირებას, ამდენად უფრო მეტად ორიენტირებულია სააზროვნო უნარების შეფასებაზე და არა მეხსიერების შემოწმებაზე.

ზაფხულში ჩატარებული გამოცდების შემდეგ ცენტრი დაუყოვნებლივ იწყებს საგამოცდო ტესტების ანალიზს მონიშნულ ქვეყნებში შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომელსაც ეწოდება ფსიქომეტრიული ანალიზი. იგი ადგენს თითოეული დავალების სირთულის ხარისხსაც, დისკრიმინაციულ ღირებულებასაც და მთელი ტესტის სანდოობასაც. გარდა ამისა, ამ ანალიზის შედეგად, მრავალი პარამეტრის მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორ გავაუმჯობესოთ საგამოცდო ტესტი, რომ მისი ფორმატი უკეთ მოვარგოთ არსებულ რეალობას.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მათემატიკის ტესტიდან ამოღებულია სამი დავალება დახურული პასუხით და ორი ლია პასუხით (მათ შორის პლანიმეტრიის 4-ქულიანი დავალებაც). შესაბამისად, 2021 წლის მათემატიკის ტესტში იქნება 35 (27 დახურული და 8 ლია ტიპის) დავალება, მაქსიმალური ქულა კი, სავარაუდოდ, გახდება 51. ტესტში იქნება ორი ორქულიანი, ოთხი სამქულიანი და ორი ოთხქულიანი ლია დავალება. ტესტის შესრულებისათვის გამოყოფილი დრო იქნება 35. მინიმალური ბარიერი – არანაკლებ 11 ქულა (უნივერსიტეტებს უფლება აქვთ, უფრო მაღალი ბარიერები დაანსონ).

ფიზიკისა და ქიმიის საგამოცდო ტესტებში შემცირდება როგორც არჩევითი პასუხებიანი, ისე ლია დავალებების რაოდენობა. ამიტომ საგამოცდო ტესტის შესასრულებლად გამოყოფილი დრო იქნება 3 საათი (ნაცვლად 3 სთ და 40 წუთისა), ხოლო მაქსიმალური ქულა, სავარაუდოდ, იქნება 63 (ნაცვლად 75 ქულისა).

ცხადია, პირველივე კითხვა, რომელიც აბიტურიენტებს გაუჩნდებათ, იქნება – ნიშნავს თუ არა ეს საგამოცდო ტესტების გამარტივებას. დიახ, საგამოცდო ტესტები, გარკვეული აზრით, გამარტივდება, ვინაიდან შესასრულებლად ნაკლები დრო და ენერჯია დასჭირდებათ, თუმცა საბოლოო ჯამში გაცივდება, ნინა წელთა შედარებით, ბევრად მარტივი ნაღვილად არ იქნება და აბიტურიენტები სერიოზულად უნდა მოემზადონ ამ გამოცდებისათვის.

საგანმანათლებლო სისტემა მუდმივად ვითარდება, რადგან მთელი მსოფლიოც მუდმივად იცვლება და ერთ ადგილას არაფერი არ დგას. შესაბამისად უნდა შეიცვალოს და განვი-

თარდეს ცოდნისა თუ უნარების შეფასების მექანიზმებიც, ამიტომ ჩვენი ცენტრის თანამშრომლები, ყოველწლიურად, ცდილობენ ტესტების დავალებების დახვეწას. მიმდინარე სასწავლო წელს, თუ ეპიდემიოლოგიური ვითარება საშუალებას მოგვცემს, დაგეგმილი გვაქვს ისტორიისა და ქართულის დავალებების აპრობაციები, რასაც ტრადიციულად მოჰყვება მათი განხილვა მონეულ ექსპერტებთან ერთად და მიღებული დასკვნის შედეგად, 2022 წლისთვის, შეიძლება გარკვეული ცვლილებები ამ საგნების გამოცდებშიც შევხვდეთ.

– ზოგადად, როგორია თქვენი დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ, ჩანაცვლებს სრულფასოვნად ტრადიციულ, ე.წ. პირისპირ სასწავლო პროცესს?

– რამდენად წარმატებული იყო დისტანციური სწავლება და რა გამოწვევების წინაშე აყენებს იგი ჩვენს ქვეყანას, ამის შესახებ ჩვენი ცენტრის ერთმა ჯგუფმა, სამინისტროს დაკვეთით, საინტერესო კვლევა ჩატარა და, ვფიქრობ, მისი შედეგები ბევრად უფრო ობიექტურ სურათს გვიჩვენებს, ვიდრე ჩემი სუბიექტური შეხედულება.

– როგორ შეაფასებთ ეროვნულ გამოცდებს 2020. თქვენს ცენტრს საკმაოდ მოკლე დროში მოუწია ცვლილებების შეტანა საგამოცდო პროცესში, როგორი იყო შედეგები – როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და რას გაითვალისწინებთ სამომავლოდ.

– რაც შეეხება 2020 წლის გამოცდებს: შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ გამოცდების წარმატებით ჩატარება დიდწილად განაპირობა ჯანმრთელობის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის ჩართულობამ: მათ ძალიან დიდი დახმარება გაგვინიეს, დეტალურად გაიარეს ჩვენთან ერთად მთელი პროცედურა და ასევე დეტალური ინსტრუქციები მოგვცეს გამოცდების უსაფრთხოდ ჩასატარებლად. რა თქმა უნდა, საგანგებოდ მაღლობა ეკუთვნის ჩვენი ცენტრის თანამშრომლებსა და საგამოცდო პროცესში ჩართულ ყველა პირს (ადმინისტრატორებს, მეთვალყურეებს, კოორდინატორებსა და სხვ.), რომლებმაც საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად მოახერხეს ერთიანი პროცესის უნაკლოდ ჩატარება – მიუხედავად იმისა, რომ საგამოცდო ცენტრებში დაახლოებით 75.000-მა ადამიანმა გაიარა ტესტირება, გამოცდების პერიოდში არც ერთი პირი არ დაინფიცირებულა. იმ ორ აბიტურიენტს, უკვე ჩატარებული გამოცდის შემდეგ რომ აღმოაჩნდათ ვირუსი (ოჯახის წევრებისგან გადადებული), ცენტრის დირექტორის ბრძანებით, საგანგებოდ გამოეყოთ საგამოცდო სივრცე და ტესტირება ჩაუტარდათ ინფექციური საავადმყოფოში! (ცხადია, ეს პირველად მოხდა და იმედი მაქვს, უკანასკნელადაც).

2020 წლის გამოცდების უარყოფით მხარედ ის შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საგამოცდო პროცესი მთელი ერთი თვე გრძელდებოდა, რადგან კონდინციონერის გამოყენება ინფიცირების რისკებს ზრდიდა და გვინდოდა, ცხელი ზაფხულის დღეებში, როცა კი შესაძლებელი იქნებოდა, შუადღისთვის განსაზღვრული მეორე სესია არ ჩატარებულიყო და აბიტურიენტები შეძლებისდაგვარად მხოლოდ დილის სესიებზე გამოსულიყვნენ. სამომავლოდ, თუ ისევ პანდემიის პირობებში მოგვინია გამოცდების ჩატარება, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, საგამოცდო ვადის შემცირება, რომ დაინფიცირების რისკიც შემცირდეს და გამოცდების თანმდევი დაძაბულობაც, მაგრამ ამას საგამოცდო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, ანუ დამატებითი რესურსი სჭირდება, რაც უკვე ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. ეს უკვე მთავრობის გადასაწყვეტი იქნება – ღირს თუ არა ახალი სახსრებისა და რესურსების მობილიზება გამოცდების კიდევ უფრო სწრაფად და, საბოლოო ჯამში, უკეთესად ჩასატარებლად.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

ლია კარის დღეები

ელექტრონულ ფორმატში ჩატარდება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ღია კარის დღეების ელექტრონულ ფორმატში ჩატარებას იწყებს. ცენტრის წარმომადგენლები აბიტურიენტებს მიახვნიან დეტალურ ინფორმაციას **2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების** შესახებ.

მეთორმეტეკლასელებს შესაძლებლობა ექნებათ, დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები ცენტრის დირექტორისა და საგანობრივი ჯგუფების ხელმძღვანელებისაგან.

აბიტურიენტთა ინფორმირებულობის მიზნით ღია კარის დღეები გაიმართება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის.

შეხვედრები **Microsoft Teams-ის** პროგრამის დახმარებით ჩატარდება.

მოსწავლეები ონლაინ ღია კარის დღეებზე დასასწრებად რეგიონების მიხედვით განაწილდებიან.

2021

ღია კარის დღეები online

კონკრეტული თარიღის შესახებ მეთორმეტე კლასის მოსწავლეების ინფორმირებას, ადგილობრივი რესურსცენტრის დახმარებით, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს.

პირველი შეხვედრა გაიმართა **24 ნოემბერს, 15:00 საათიდან 16:30 საათამდე რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის.**

ღია კარის დღის დასრულების შემდეგ მომზადდება და განთავსდება ინფორმაცია, **ხშირად დასმული კითხვების შესახებ, ცენტრის ვებგვერდზე: www.naec.ge.**

ამავე გვერდზე, აგრეთვე ცენტრის ფეისბუქგვერდზე, ეტაპობრივად, გამოქვეყნდება ყველა საჭირო ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის, მათ შორის – საინფორმაციო ვიდეორგოლები. მნიშვნელოვან ინფორმაციას აბიტურიენტებს ინტერნეტის საშუალებით გააცნობენ ცენტრის საგანობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

რეპორტი

იყო და არა იყო რა, ანუ როგორ მოხვედრი სპანეთიდან ჯავახეთში



თამარ ლევდარიანი
პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა“ კონსულტანტ-მასწავლებელი, სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ტურცხის საჯარო სკოლა

„სად წაიყვან სადაურსა“ – ფრაზა შეესაბამება ჩემი ცხოვრების ისტორიას, კონკრეტულად კი იმ ნაწილს, რომელშიც დავინწყე პედაგოგიური მოღვაწეობა სომხურ სკოლაში. ეს ამბავი დაიწყო რვა წლის წინ. მაშინ ჩვენს პროგრამას ერქვა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიქონდა სტუდენტობის პერიოდში და დაინტერესებული ვიყავი. ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენს უნივერსიტეტში მოეწყო პრეზენტაცია, სადაც დეტალურად გავაცანეს პროგრამის არსი, მიზნები, პირობები და ა.შ. მაშინ კი, საბოლოოდ გადავწყვიტე პროგრამაში მოხვედრა, ამ დროს უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მონაწილეობა მივიღე კონკურსში, წარმატებით გავიარე პირველი ეტაპი – გამოცდა, შემდეგ მეორე ეტაპი – გასაუბრება. ძალიან კარგად მახსოვს გასაუბრების მომენტი, როცა ვთქვი – ყველაზე შორსაც რომ გამიშვან, მზად ვარ წაიდე-მეთქი, მგონი, გარკვეულწილად, ამ სიტყვებმა განსაზღვრა ჩემი მომავალი. ამის შემდეგ, ჩავგიტარდა ტრენინგები და გამოგვიცხადეს ვინ სად უნდა წავსულიყავით, მე გამანაწილეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. იხტილის საჯარო სკოლაში. ჩემთვის არაფერს მთქმელი იყო ეს სახელი, მის შესახებ არასდროს არაფერი მსმენია, არც ერთი სომხური სიტყვა არ ვიცოდი, თუმცა უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რადგან ამისრულდა დიდი ხნის ოცნება, მიზანს მივახლოვდი და სირთულეები აღარ მაშინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თავდაჯერებული ვიყავი, მაინც უარყოფითად მახსენდება საზოგადოების რეაქცია, როცა იგებდნენ, რომ ასე შორს, სხვა ეროვნების ადამიანთა გარემოცვაში ვაპირებდი საშუაოდ წასვლას, სტერეოტიპების უდიდეს ტალღასთან შეჯახება და დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მომინია, თუმცა იმდენად მოტივირებული ვიყავი, რომ ყველა დაბრკოლების გადალახვა შეეძლო.

დადგა ნანატრი დღეც, თბილისიდან წალკის გზით წამოვედი. ეს იყო ზღაპრულ ქვეყანაში მოგზაურობა, ის ემოციები არასდროს დამავიწყდება, სრულიად სხვა სამყაროში მოხვედით, თითქმის ყველა ერთი ასაკის, დამწყები პედაგოგები – ვიდრე ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან გზაზე, რომელიც ძალიან გრძელი და დამღლევი აღმოჩნდა. ჩამოვედი ახალქალაქის რესურსცენტრთან, დაბნეულები ვიმეორებდით ჩვენი სკოლებისა და სოფლების სახელებს, სკოლების დირექტორებიც ეძებდნენ მათ სკოლებში მივლენილ პედაგოგებს. ეს მომენტი ძალიან ნიშანდობლივი იყო და ენობრივი ბარიერით გამოწვეული უხერხულობა ყველაზე კარგად იგრძნობოდა ამ მცირე დეტალით. დღევანდელი სიტუაცია ამ კუთხით გაცილებით უკეთესია, სახელმწიფო ენაზე ელემენტარული კომუნიკაცია უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს.

მოკლედ, ვიპოვე ჩემი დირექტორი და გავემართეთ მასპინძელი ოჯახისკენ, სოფელ იხტილაში. ოჯახში მისვლის შემდეგ მომინია უკვე იმ სირთულეების გააზრება, რომელიც შემხვებოდა, პირველ რიგში კი, ენობრივი ბარიერი, ეს ნამდვილად ძალიან ართულებდა ადამიანებთან ურთიერთობას. საღამომდე ვინვალეთ მე და მასპინძელი ოჯახის წევრებმა, რომ რამე გავგეგოვ ერთმანეთის, თუმცა ბევრი ვერაფერი მოვახერხეთ. საღამოს ოჯახის უფროსი მოვიდა საშუაოდან, ალბათ შეამჩნია ჩემი

დაბნეულობა და დაძაბულობა, დაიწყო ქართულად საუბარი, ჯერ ყურებს არ ვუფერებდი, როცა დავრწმუნდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, აღმოჩნდა, რომ მას, მრავალი წლის წინ, ჯარში უსწავლია ქართული, ამან ძალიან გამომარტივა მდგომარეობა. ეს სიტუაცია რამდენიმე თვეში რადიკალურად შეიცვალა, ჩემი მასპინძელი ოჯახის ყველა წევრს შეეძლო ქართულ ენაზე კომუნიკაცია, ოჯახის ბავშვები კი თითქმის თავისუფლად საუბრობდნენ სახელმწიფო ენაზე, ეს დიდი მიღწევა იყო ჩემთვის. შემდეგ გავიცანი ადგილობრივი ქართული ენის პედაგოგი, რამდენიმე თვეში მისი შვილის ნათლია გავხდი და მათი ოჯახი ჩემთვის გახდა, როგორც უფლის საჩუქარი, მათთან გადავედი, მეორე წლიდან, საცხოვრებლად და უკვე თავს ვგრძნობდი, როგორც საკუთარ ოჯახში. ეს ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო, რადგან ბევრი ჩემი პროექტელისათვის საცხოვრებელი პირობები ძალიან დიდი პრობლემა იყო, მათ სერიოზული ბრძოლების გადატანა მოუწიათ. აქ ჩამოსული ყველა პედაგოგის ისტორია ერთმანეთისგან განსხვავდება და თითოეული მათგანი უნიკალურია, რადგან მნიშვნელოვანწილად შეცვალა აქ მცხოვრები ადამიანების ცხოვრება, დამოკიდებულებები და ზოგადად რეგიონში არსებული ენობრივი მდგომარეობა. უკვე მერვე წელია, ვცხოვრობ აქ და გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ყოველი მომდევნო წელი უფრო დიდი პროგრესის მაჩვენებელია, ჩვენი მოსწავლეების უდიდესი ნაწილი სწავლას აგრძელებს ქართულ უნივერსიტეტებში და სახელმწიფო ენის როლი და მნიშვნელობა შესაბამის დონეზე დადგა.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ადამიანი შემხვედრია, რომლებიც აქცენტს აკეთებენ პროექტის მასწავლებელთა შედარებით მაღალ ანაზღაურებაზე და რატომღაც ყურადღების მიღმა რჩებათ ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც გვინევს და იმ შრომას, რასაც თითოეული ჩვენგანი ეწევა, სათანადოდ ვერ ან არ აფასებენ. გულდასაწყვეტია, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს მოსწავლეები, რომლებიც ამას თავიანთი წარმატებებით ამტკიცებენ, ჩემი და ჩვენი ყველაზე დიდი სურვილიც სწორედ წარმატებულ მოსწავლეთა სიმრავლეა.

მოკლედ, გადიოდა დღეები, ვენოდი აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას, ცხსავლობდი სომხურ ენას. ერთი წლის შემდეგ ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდები და გავხდი კონსულტანტ-მასწავლებელი, მანამდე კი დამხმარე მასწავლებელი ვახლდით. ეს იყო უდიდესი წარმატება ჩემს ცხოვრებაში, ამაზე დიდი სიხარული იმ მომენტამდე არასდროს განვიცადა. კონსულტანტის პოზიციაზე მუშაობა გავაგრძელე სოფ. ტურცხის საჯარო სკოლაში, სადაც დღემდე ვმუშაობ.

აქ მუშაობის მეშვიდე წლის თავზე, სვანეთში, გავიცანი აქაური ბიჭი, რომელიც ჩემი მეუღლე გახდა. ესეც თითქოს უფლის მიერ ბოძებული ჯილდო იყო. ეს ისე მოულოდნელად და საინტერესოდ მოხდა, რომ საბოლოოდ ვირწმუნე სასწავლების არსებობა და ის ფაქტი, რომ ჯავახეთში ძალიან დიდი მისიით გამოვხატავდი უფალმა, ერთი მხრივ, როგორც მასწავლებელი, მეორე – ქართული ტრადიციული ოჯახის დიასახლისად და უმთავრესი ნოდება – „პატარა ცოტნეს დედა“. ეს უკანასკნელი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატუსია და მხოლოდ ამისთვის ღირდა საქართველოს ერთი ბოლოდან მეორეში, სვანეთიდან ჯავახეთში, წამოსვლა, ყველა თავისი სირთულეთა და სიხარულით. ახლა უკვე საკუთარი ოჯახით ვაგრძელებ პროფესიულ საქმიანობას, ვეჭიდები ახალ სირთულეებს და ვცდილობ, ფეხი ავუწყო თანამედროვე გამოწვევებსა და ცვლილებებს. ამჟამად წამყვანი მასწავლებელი ვარ და მიზნად მაქვს დასახული, გავხდე მენტორი.

ჩემი ცხოვრების ისტორიის მოყოლა გადავწყვიტე, რათა იმ ადამიანებს, რომლებიც ახლა იწყებენ კარიერას, ვუთხრა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, არასდროს არაფერს შეგეშინდეთ, ყოველთვის დაარწმუნეთ საკუთარი თავი, რომ თქვენს მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩემს მოსწავლეებს ვასწავლი, არის ის, რომ „მეუძღვებელი არაფერია“ და თუ მათ უნდათ მიაღწიონ წარმატებას, უნდა დაიწყონ იმით, რომ დაივიწყონ ფრაზა „არ შემიძლია“, მთავარია მიზანი და ის ყოველთვის ამართლებს საშუალებას.

მარტივი არ იყო ამ გზის გავლა, უამრავი დაბრკოლება მხედებოდა, ფსიქოლოგიურადაც მრავალი რთული მომენტი გადამიტანია, ყველაზე ცუდად ის დღე მახსენდება, როცა დამირეკეს და მამაჩემის გარდაცვალება შემატყობინეს, სულ რაღაც ორი თვის ჩამოსული ვიყავი, ეს იყო უდიდესი ტრაგედია, ამ და სხვა განსაცდელების გადალახვაში მეხმარებოდა ბავშვებთან ურთიერთობა და რწმენა უფლისა...

აქვე მინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ იმ პროგრამის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ვმუშაობ რეგიონში – „არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის“. პროგრამა, მრავალი წელია, არსებობს და წარმატებით მუშაობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მისი მიზანი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაა. პროგრამის პედაგოგთა საქმიანობა მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც მოსწავლეებთან, ისე პედაგოგებთან და თემთან მუშაობას. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მათ შორის: სოციალური და სასწავლო პროექტები, კონფერენციები, ინტელექტუალური, სპორტული და სხვა ტიპის შეჯიბრებები, ენობა ზეიმები და ა.შ.

რაც შეეხება პედაგოგებთან მუშაობას, ყველაზე მთავარი და შრომატევადი მიმართულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებია, ამ კუთხით დგას ენობრივი, შინაარსობრივი და ტექნიკური დახმარების საჭიროება. ასევე, უმნიშვნელოვანესია ენის კურსები, რომელსაც ჩვენ პედაგოგებთან ვატარებთ, გარდა ენის შესწავლისა, აღნიშნული კურსებით მათ შეუძლიათ მიიღონ კრედიტი, რაც შემდგომ სტატუსის შეცვლაში დაეხმარებათ.

სკოლებში შექმნილია წრეები, რომელთა მიზანია ქართული ენის ფლობის დონის ამაღლება, ასევე, სხვადასხვა კუთხით, მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა და მათი ცნობიერების ამაღლება. ეს არ არის სრული ჩამონათვალი იმ საქმიანობისა, რომელსაც პროგრამის თითოეული პედაგოგი ეწევა. განსაკუთრებით გამოირჩევა მოსწავლეთა დამოკიდებულება პროგრამის პედაგოგების მიმართ, ეს ურთიერთობა ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. სწორედ ამგვარი დამოკიდებულებისა და დაუღალავი შრომის შედეგია ის, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა როგორც ენობრივი, ისე სხვა მიმართულებითაც, ამას აღნიშნავს ყველა და ადასტურებს მოსწავლეების, მშობლების კეთილგანწყობა, ნდობა.

ამრიგად, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მუშაობა წარმატებული და აუცილებელია კიდევ მრავალი წელი, რათა დაეხმაროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინტეგრაციასა და წარმატებაში.

ზოგადად, ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა საკუთარი პროფესიით მუშაობა, მით უფრო, როცა ის გიყვარს. განვითარება და წინსვლა აუცილებელია, ვცდილობ კოლეგებსაც დავეხმარო ამ კუთხით, ბევრისთვის მოტივაციის ამაღლების წყარო ხდება შენი წარმატება, ნებისმიერ კარგ ნამოსწყებაში გიჩნდება მიმბაძველები, შეგიძლია სიკეთის იდეით გააერთიანო მრავალი ადამიანი, ამის კარგი მაგალითია ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელებული საქველმოქმედო პროექტი ნინონ-მინის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა დასახმარებლად. ამ სოციალური პროექტით გააერთიანე ჩემი მოსწავლეები, კოლეგები და თემის წარმომადგენლები. ამ ნამოსწყებას, უკვე მესუთე წელია, ვახორციელებთ, რაც უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს. აღნიშნული აქტივობის განხორციელებას წელსაც ვგეგმავთ, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა...

მოკლედ, ლენტეხის რაიონის სოფელ შკედში დაბადებული და გაზრდილი გოგო, ახლა ჯავახეთში, ახალქალაქში, ჩემი ოჯახით ვემსახურები საქართველოს – მე, როგორც პედაგოგი, ჩემი მეუღლე კი, როგორც ჯარისკაცი.

ბოლოს მინდა ვთქვა – „რაც უფრო რთულია ცხოვრება, მით უფრო საინტერესო და ღირებულია ის“.



ინტეგრირებული გაცვითი, გეოგრაფიის პედაგოგთან ერთად

ჩემი პირველი მასპინძელი

მოსწავლეთა შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში

დღესდღეობით, მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოს მრავალი სკოლა დისტანციურ სწავლებაზე გადასულია. ამ სიტუაციაში პედაგოგის როლი ბევრად მეტია, ვიდრე სასკოლო სივრცეში, სადაც ბავშვის მართვის და კონტროლის უამრავი საშუალება არსებობს.

დისტანციური სწავლებისას, რთულია ობიექტური შეფასების სისტემის მოფიქრება, რადგანაც, მოსწავლეს, სურვილის შემთხვევაში, ადვილად შეუძლია პედაგოგის შეცდომაში შეყვანა – სხვადასხვა საშუალების გამოყენება, რათა თავის „ცოდნაში“ დაგვარწმუნოს ან ტექნიკური პრობლემების მომიზეზება. როგორ მოვიქცეთ ასეთ მოცემულობაში? უმთავრესია, ბავშვსა და პედაგოგს შორის ნდობისა და ურთიერთ-პატივისცემის ჩამოყალიბება. ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც საკლასო ოთახში ვიყენებდით, ახლა გამოუსადეგარია.

ყველაზე მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ პედაგოგები – ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა და მათი ობიექტური შეფასება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის განწესებული მოსწავლეთა შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. შეფასება შესაძლოა იყოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-V კლასის მე-2 სემესტრიდან). მოსწავლის შეფასების კომპონენტები შემდეგია:

1. მიმდინარე საშინაო დავალება;
2. მიმდინარე საკლასო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება.

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული შეფასების ყველა კომპონენტის გამოყენება და შეფასების სისტემა, სასურველია, თავად სკოლამ ან დეპარტამენტმა აირჩიოს, სპეციფიკიდან გამომდინარე.

მოსწავლეთა შესაბამისი ცოდნის მიღების, უნარების განვითარების და შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების შესრულება. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა დონის უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას.

მოვიყვან ერთ კომპლექსური დავალების ნიმუშს ბიოლოგიაში (მე-7 კლასი):

თემა – სოკოები კომპლექსური დავალება:

ეტაპი 1.

შეისწავლეთ სოკოების (ობის სოკოების) ნაირსახეობები, მათი სასიცოცხლო თვისებები (კვება, გამრავლება, ზრდა-განვითარება), ობის სოკოების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისთვის (სახელმძღვანელო: „ბიოლოგია“, მე-7 კლასი).
http://tamt-biologia.blogspot.com/2012/11/fungi_1.html

დაგეგმეთ და ჩაატარეთ ექსპერიმენტი, რომელიც ასახავს ტენის და ტემპერატურის გავლენას ობის სოკოს სასიცოცხლო თვისებებზე (კვება, გამრავლება, ზრდა-განვითარება). ჩამოაყალიბეთ ექსპერიმენტის მიზანი, კვლევისი კითხვა. გააანალიზეთ მონაცემები, გამოიტანეთ დასკვნა.

იმსჯელეთ, რა როლი აქვს ობის სოკოებს ბუნებისა და ადამიანისთვის და როგორ დავიცვათ საკვები გაფუჭებისგან (ობის სოკოსგან).

შეადგინეთ ექსპერიმენტის ოქმი.

ეტაპი 2.

ცნობილია, რომ ობის სოკო, საკვებად, პროდუქტში არსებულ ორგანულ ნივთიერებებს იყენებს. ხელსაყრელ პირო-

ბებში (ტენი, სითბო) ინტენსიურად მრავლდება, იზრდება და ვითარდება.

დაგეგმეთ კვლევა: აიღეთ თეთრი პურის ორი თითქმის ერთნაირი ნაჭერი და ერთი ნაჭერი თეთრი პურის ორცხობილა. გადაულეთ სურათი (ან გააკეთეთ ჩანახატი). ერთი ცალი პურის ნაჭერი და ორცხობილა ჩადეთ ცალ-ცალკე პოლიეთილენის პარკში და დადეთ თბილ ადგილას. პურის მეორე ნაჭერი, ასევე, პოლიეთილენის პარკში მოათავსეთ და მაცივარში შეინახეთ. გამოთქვით ვარაუდი, რა ცვლილებები მოხდება თითოეულ პარკში.

ყოველდღე, ერთი კვირის განმავლობაში, გადაულეთ სურათები ან ჩანახატი, დააკვირდით, რა ცვლილებებს განიცდის პურის ნაჭრები და ორცხობილა. გააანალიზეთ შედეგები, გამოიტანეთ დასკვნები.

ეტაპი 3.

პროექტის პრეზენტაციისას, ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

1. როგორ არის დამოკიდებული ორგანიზმის (ობის სოკოს) სასიცოცხლო თვისებების (კვება, გამრავლება, ზრდა-განვითარება) ინტენსივობა გარემო ფაქტორებზე (ტენი, ტემპერატურა);
2. თქვენი კვლევის ანალიზი და დასკვნები;
3. რა მნიშვნელობა აქვს ობის სოკოს ბუნებისა და ადამიანისთვის;
4. როგორ დავიცვათ პროდუქტი გაფუჭებისგან (ობის სოკოსგან);
5. რა სტრატეგიები გამოიყენეთ, რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე, რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

(მოსწავლეებისთვის მომზადებული შეკითხვების დიდი ნაწილი სააზროვნო უნდა იყოს და პასუხი პირდაპირ არ უნდა ენეროს წიგნში ან ინტერნეტში).

კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლე შეძლებს:

1. იმსჯელოს ობის სოკოს სასიცოცხლო თვისებებზე.
2. იმსჯელოს ობის სოკოს ცხოველქმედებაზე გარემო ფაქტორების გავლენის შესახებ. დაადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გარემოს პირობებსა და სოკოს განვითარებას შორის.
3. იმსჯელოს ობის სოკოს ბუნებასა და ადამიანისთვის მნიშვნელობის შესახებ.
4. დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, ძალიან მნიშვნელოვანია ინტენსიურად მოვახდინოთ მოსწავლის განმავითარებელი შეფასება, რისთვისაც სოლო ტაქსონომია შეგვიძლია გამოვიყენოთ.

როგორ დავწეროთ, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, განმსაზღვრელი შეფასება?

1. მიმდინარე საშინაო დავალება:

პედაგოგს შეუძლია, 10-ქულიანი სისტემით შეაფასოს მოსწავლის ცოდნა სოკოების შესახებ, ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკა და შედეგები და ა.შ.

2. მიმდინარე საკლასო დავალება:

შესაძლოა, მოსწავლეებმა გამართონ დისკუსია სოკოების მნიშვნელობის შესახებ, პროდუქტის დაზიანების შესახებ და, ა.შ. შესაძლოა, შეფასდეს მოსწავლეთა ჩართულობა, არგუმენტირებული მსჯელობა...



ნატა გიჭიკაშვილი
ბიოლოგიის დოქტორი, მენტორი პედაგოგი

3. შიშველი დავალება:

დასრულებული კომპლექსური დავალების შეფასება. გამზადებული ნამუშევრები მასწავლებელს გაეგზავნება წარდგენამდე რამდენიმე დღით ადრე. პედაგოგი ადგენს შეფასების სქემას, რომელსაც დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე წარუდგენს მოსწავლეს. მაგალითად:

1. ვიზუალური გაფორმება – 10%
2. შინაარსობრივი გამართულობა – 20%
3. მასალის ორგანიზება-ლოგიკური კავშირი „სლაიდებს“ შორის – 20%
4. კითხვებზე პასუხი – 50%

მოსწავლეთა გამოკითხვას რამდენიმე გაკვეთილი ან ინდივიდუალური ჩართვა დასჭირდება.

ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლეს შეუძლია, ეკრანზე გააზიაროს საკუთარი პრეზენტაცია (ნებისმიერი პლატფორმის გამოყენებით: ზუმი, ტიმსი, მითი...).

მოსწავლეთა შეფასებისას, ძალიან მნიშვნელოვანია სამივე კომპონენტის გამოყენება (მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). მოსწავლემ უნდა შეასრულოს საშინაო დავალება, რათა დამოუკიდებლად მუშაობის უნარი არ დაკარგოს. საკლასო დისკუსია გაკვეთილს ინერაქტიურს და საინტერესოს გახდის, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას, ხოლო შემაჯამებელი დავალება მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასების და მისი პროგრესის განსაზღვრის შესაძლებლობას მოგვცემს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც სკოლა ნაწყვეტად დისტანციური სწავლებისას, არის იმ მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც არ/ვერ ერთვება დისტანციურ სწავლებაში. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, მასწავლებლის მოსწავლესთან ნებისმიერი სახით კომუნიკაცია, ძირითადად – სატელეფონო საუბარი-მასალის ახსნა, კონსულტაცია და მასალის გამოკითხვა. ამ მოსწავლეებთან შესაძლებელია შეფასების განსხვავებული სისტემის გამოყენება: არადაამაკმაყოფილებელი, დაამაკმაყოფილებელი, საშუალო, კარგი, ძალიან კარგი.



უსინათლო მოსწავლეებს, პირველად, აუდიო ფორმატის სახელმძღვანელოები ექნებათ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, უსინათლო და მცირემხედველ IV-VII კლასების მოსწავლეებს აუდიო ფორმატის სახელმძღვანელოები სწავლის შესაძლებლობა ექნებათ, რაც პანდემიის პირობებში შესაძლებლობას მისცემთ, მიიღონ სრულფასოვანი განათლება. სამინისტროს მიზანია, უზრუნველყოფილი იყოს მათი მაქსიმალური დამოუკიდებლობა და სოციალური ინტეგრაცია.

სამინისტროს მხარდაჭერით, აუდიო ფორმატში ინტეგრირდება IV-VII კლასების ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. შედეგად, გახმოვანებული წიგნებით ისარგებლებენ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ დაინტერესებული პირებიც, რადგან სახელმძღვანელოები სამინისტროს ოფიცია-

ლურ ვებგვერდზეც განთავსდება.

სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის სრული მხარდაჭერით, გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიო ფორმატში გადაყვანის შესყიდვას სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო განახორციელებს. შესაბამისად, ახლო მომავალში, უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეები უმნიშვნელოვანესი სასწავლო რესურსებით იქნებიან უზრუნველყოფილი.

განათლების ხარისხის ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მოსწავლეთა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, რათა მოხდეს ბავშვის რაც შეიძლება სრულად ჩაბმა სოციალურ ცხოვრებაში და მიღწეულ იქნეს მისი პიროვნების, მათ შორის კულტურული და სულიერი განვითარება.

სწორედ ამ მიზნით, უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებს სამინისტრომ ბრაილის შრიფტით აწყობილი და რელიეფური ნახატებით დაბეჭდილი ახალი გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები უკვე გადასცა. აღნიშნული რესურსებით მოსწავლეებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ როგორც ტექსტის სახით, ასევე, სახელმძღვანელოებში მოცემული ვიზუალური მასალების ტაქტილური შეხებითაც. სულ მალე კი, მოსწავლეებს გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიაც ექნებათ, რაც პანდემიის პირობებში, მათ სასწავლო პროცესში ეფექტურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. სამომავლოდ კი, სახელმძღვანელოების აუდიო ფორმატში გადაყვანა, ეტაპობრივად გაგრძელდება.

უსინათლო და მცირემხედველ IV-VII კლასების მოსწავლეებს აუდიო ფორმატის სახელმძღვანელოებით სწავლის შესაძლებლობა ექნებათ, ხაც პანდემიის პირობებში შესაძლებლობას მისცემთ, მიიღონ სრულფასოვანი განათლება.

ՅԱՅՅՈՒՄՈՒՆ ՅՅՅՅ

ՊԱՏԿԵՐԻ ԿԱՌՈՒՑՈՒՄԸ ՀԱՎԱՔՈՂ և ՑՐՈՂ ՈՍՊԵՅԱԿՆԵՐՈՒՄ

ԴԱՍԻ ՊԼԱՆ

Ուսուցչի անուն, ազգանունը: Մաքսիմ Գալստյան

Ստորական: Ֆիզիկա

Ուսուցման աստիճանը/դասարանը: Բազային/9-րդ դասարան

Աշակերտների քանակը: 5 (հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտ չկա)

Դասի թեման: Պատկերի կառուցումը հավաքող և ցրող

նսպնակներում: Բարակ նսպնակի բանաձևը

Ժամանակը: 45 րոպե

Դասի նպատակը: Աշակերտը հենվելով կատարվող փորձերի և ուսուցչի տված տեղեկությունների վրա կարողանում է կառուցել տարբեր առարկաների պատկերները հավաքող և ցրող նսպնակներում:

Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչները՝

Հետ. IX.4.

• Վերլուծում է տվյալները և անում է եզրահանգումներ:

Ֆիզ. IX.8.

• Քննարկում է ճառագայթների անցումը տարբեր օպտիկական համակարգեր (հարթ-գուգահեռ թիթեղ, բարակ նսպնակ, եռանկյուն պրիզմա, հարթ հայելի), կիրառում է համապատասխան բանաձևերը և նկարագրում է արտացոլանքի ստացումը:

• Տեղին է կիրառում համապատասխան հասկացությունները, օրենքները և բանաձևերը՝ խնդիրներ լուծելու համար:

Անհրաժեշտ նախնական գիտելիքները: Աշակերտը պետք է իմանա, թե ինչ է հավաքող և ցրող նսպնակը, ինչն են անվանում նսպնակի կիզակետ, գլխավոր օպտիկական կենտրոն և առանցք, ինչպես նաև ճառագայթների ընթացքը հավաքող և ցրող նսպնակում:



ՅԱՅՅՈՒՄ ԳԱԼՍՏՅԱՆ
Նալբանդյանի ֆիզիկոսների թանգարանի
ուսուցիչ, Նախկին Նախարար Երվանդ Գրիգորյանի
ֆիզիկոսի մասնագետ

Ակտիվության անվանումը և նկարագիրը	Ակտիվության նպատակը	Մեթոդը/մեթոդները	Դասարանի կազմակերպման ձևը/ձևեր	Ուսումնական ռեսուրսները	Ժամանակը (րոպե)
1 Աշակերտների նախնական գիտելիքների ստուգում: <i>Պատասխանել հետևյալ հարցերին.</i> 1. Նշված ուղիղներից ո՞րն է նսպնակի գլխավոր օպտիկական առանցքը (Հավելված 1, նկ. 1): 2. Նշված կետերից ո՞րն է նսպնակի գլխավոր օպտիկական կենտրոնը (Հավելված 1, նկ. 2): 3. Ո՞րն է ճառագայթի ճիշտ շարունակությունը (Հավելված 1, նկ. 3-7): 4. Ո՞րն է հավաքող և ցրող նսպնակի պայմանական նշանը (Հավելված 1, նկ. 8):	Աշակերտները կարողանան հարցերին պատասխանելով վերիիշյալ և ստուգել իրենց գիտելիքներն ու կարողությունները:	Հարց – պատասխան, Power Point-ի շնորհանդես	Ամբողջ դասարանի հետ	Համակարգիչ, պրոյեկտոր	6
2 Հավաքող նսպնակում ստացված պատկերի դիտում: Տրված է հավաքող նսպնակ, որի կիզակետային հեռավորությունը հայտնի է ($F \approx 60$ սմ), քանոն, լայտեր, էկրան (փլիփչարթ): Ուսուցչից, էկրանն ու լայտերը դասավորված մի գծով: Լայտերը տեղադրված են նսպնակից հեռու, ավելի քան կրկնակի կիզակետային հեռավորությունն է ($d > 2F$), որտեղ d -ն նսպնակի և լայտերի միջև հեռավորությունն է: Էկրանը դանդաղ տեղաշարժվելով մինչև պարզ պատկերի ստացումը: Չափեր նսպնակից մինչև պատկեր եղած f հեռավորությունը և համեմատել p կիզակետային հեռավորություն հետ: Չափել p կամ աչքաչափով գնահատել p առարկայի և պատկերի չափերը: Կրկնել p փորձը d -ի հետևյալ արժեքների համար $d = 2F$, $F < d < 2F$: Փորձի արդյունքները գրանցել աղյուսակում (Հավելված 2): Քննարկել աղյուսակը և անել հետևություն՝ d -ի փոփոխությունից ինչպե՞ս է փոխվում պատկերի երկարությունը (h_2) և նսպնակի ու պատկերի միջև հեռավորությունը (f):	Աշակերտները փորձի միջոցով կարողանան մոտավոր տեսնել և չափել պատկերի չափերը առարկայի և նսպնակի տարբեր հեռավորությունների դեպքում: Փորձի անցկացում	Ամբողջ դասարանի հետ	Հավաքող նսպնակ, քանոն, լայտեր, էկրան (փլիփչարթ)		15
3 Աշակերտներին ծանոթացնել բարակ նսպնակի բանաձևի հետ:	Աշակերտներն իմանան, թե ինչպիսի կապ կա բարակ նսպնակի կիզակետային, պատկերի և առարկայի հեռավորությունների միջև	Մինի-լեկցիա	Ամբողջ դասարանի հետ	Փլիփչարթ, մարկերներ	3
4 Աշակերտներին հանձնարարել օգտվելով փորձի արդյունքներից ստուգել բարակ նսպնակի բանաձևի ճշմարտացիությունը (Անհրաժեշտության դեպքում օգնել աշակերտներին):	Աշակերտները կարողանան ճիշտ օգտագործել բանաձևը խնդիրների լուծման ժամանակ	Գրավոր	Անհատական	A4 ֆորմատի թուղթ, գրիչ, հաշվիչ	4
5 Պատկերի կառուցումը հավաքող նսպնակում: GeoGebra ծրագրի միջոցով, բացատրել աշակերտներին, թե ինչպես են կառուցում առարկայի պատկերը հավաքող նսպնակում, նսպնակից տարբեր հեռավորությունների վրա:	Աշակերտները տեսնեն, թե ինչպես կարելի է հավաքող նսպնակում կառուցել առարկայի պատկերը:	GeoGebra ծրագիր	Ամբողջ դասարանի հետ	Համակարգիչ, պրոյեկտոր	5
6 Պատկերի կառուցումը ցրող նսպնակում: Առաջադրանք: Աշակերտներին հանձնարարել կառուցել տրված առարկայի պատկերը ցրող նսպնակում, օգտվելով դասագրքի 71 էջի նկար 95-ից, որտեղ պատկերված է ճառագայթների մուտքը ցրող նսպնակում (Հավելված 3):	Աշակերտները կարողանան հենվելով հավաքող նսպնակում պատկերի կառուցման և ցրող նսպնակում ճառագայթների մուտքի իրենց ունեցած գիտելիքների վրա, կառուցել ցրող նսպնակում առարկայի պատկերը:	Երկրաչափական կառուցում	Անհատական	A4 ֆորմատի թուղթ, գրիչ	7
7 Աշակերտների կողմից առաջադրանքի չկատարման պարագայում GeoGebra ծրագրի միջոցով ցույց տալ, թե ինչպես է կատարվում առարկայի պատկերի կառուցումը ցրող նսպնակում:	Աշակերտները կարողանան խնդիրների լուծման միջոցով ամրապնդել իրենց գիտելիքները թեմայի վերաբերյալ:	GeoGebra ծրագիր	Ամբողջ դասարանի հետ	Համակարգիչ, պրոյեկտոր	
8 Գնահատում և տնային առաջադրանքի հանձնարարում: Աշակերտներին հանձնարարել դասագրքի էջ 76-ի, №1-3 առաջադրանքները:	Աշակերտները կարողանան խնդիրների լուծման միջոցով ամրապնդել իրենց գիտելիքները թեմայի վերաբերյալ:				2

Դասի վերջում սպասվելիք արդյունքը: Աշակերտը հենվելով կատարվող փորձերի և ուսուցչի տված տեղեկությունների վրա կարողանա կառուցել տարբեր առարկաների պատկերները հավաքող և ցրող նսպնակներում:

ՑԱՅՅՈՒՄՆԵՐ ԶՅՅՅ

Գնահատումը: Դասի գնահատման վերլուծաբանական խորագիր:

Չափանիշ	Բալեր		
	1	2	3
Ակտիվ մասնակցություն	Չի միանում կամ հազվադեպ է միանում դասապրոցեսին	Պարբերաբար է միանում դասապրոցեսին	Մշտապես ակտիվ է
Կարծիքների ազատ արտահայտում	Չի արտահայտում սեփական կարծիք	Հազվադեպ է արտահայտում սեփական կարծիք	Բոլոր հարցերի վերաբերյալ ունի սեփական կարծիք
Աշխատանքի վրա կենտրոնացում	Ընդհանրապես չի կենտրոնանում աշխատանքի վրա	Փորձում է կենտրոնանալ, բայց ոչ միշտ է կարողանում	Ամբողջ դասի ընթացքում կենտրոնացած է աշխատանքի վրա
Մաթեմատիկական ապարատի կիրառում	Չի կարողանում կատարել տարրական մաթեմատիկական գործողությունները	Մասամբ է կարողանում կատարել մաթեմատիկական գործողությունները	Մշտապես կարողանում է կատարել տարրական գործողությունները
Ուրիշների կարծիքների լսում և հարգում	Չի լսում ուրիշների կարծիքը	Մշտապես չի լսում ուրիշների կարծիքը կամ լսում է, բայց ցուցաբերում է ոչ ադեկվատ արձագանք	Ուշադիր լսում է ուրիշների կարծիքը, վերլուծում է և քաղաքավարի է
Ցրող ուսմանը առարկայի պատկերի կառուցում	Չի կարողանում կառուցել առարկայի պատկերը ցրող ուսմանը	Մասամբ է կարողանում կառուցել առարկայի պատկերը ցրող ուսմանը	Առանց սխալի կառուցում է առարկայի պատկերը ցրող ուսմանը
Վերջնական գնահատումը: Բալերի գումարը բաժանել 1,8-ի			

Հավելված 1

Հավելված 2

№	Առարկայի և ուսման միջև եղած հեռավորությունը, d, մետր	Պատկերի և ուսման միջև եղած հեռավորությունը, f, մետր	Առարկայի երկարությունը, h ₁ , մետր	Պատկերի երկարությունը, h ₂ , մետր*
1	d > 2F			
2	d = 2F			
3	F < d < 2F			

* Պատկերի և առարկայի չափսերի համեմատման ժամանակ «պատկերի երկարություն» սլոնակում (h₂) գրել լ «փոքրացել է», «մեծացել է», «չի փոխվել»:

Հավելված 3

Անցկացված մոդելային դասի ռեֆլեքսիա

Ուսուցիչ՝ Մարտին Գալստյան Առարկան՝ Ֆիզիկա

2019 թվականի մայիսի 20-ին անցկացրի ավագ ուսուցչի կարգավիճակի համար նախատեսված մոդելային դաս Մալկայի շրջանի գյուղ Խաչատրյանի հանրային դպրոցում:

Դասի թեման էր «Պատկերների կառուցումը հավաքող և ցրող ուսմանը»:

Բարակ ուսմանը քննարկելու փուլում:

Աշակերտներին հենց դասի սկզբում ծանոթացրի դասի թեմային և նպատակին:

Դասին ներկա էին 9-րդ դասարանի բոլոր աշակերտները (5 հոգի):

Դասի պլանը նախօրոք ներկայացրի գնահատման խմբին: Նրանց խորհրդով որոշ ուղղումներ կատարեցի որոշակի կետերի մեջ:

Դասն ընթացավ կանխավ կազմված պլանի համապատասխան էլեմենտներով և ուսուցչի տված տեղեկությունների վրա կարողանում է կառուցել տարբեր առարկաների պատկերները հավաքող և ցրող ուսմանը»:

Նախնական գիտելիքի ակտիվացման և դասապրոցեսին ներգրավվածության ապահովման նպատակով օգտագործեցի «հարց-պատասխանի» մեթոդը և Power Point-ով պատրաստված շնորհանդեսը:

Ակտիվություն 2. Այս ակտիվության ժամանակ երեխաների հետ միասին անցկացրի պլանավորված փորձ, որի նպատակն էր դասի թեմայի նկատմամբ աշակերտների հետաքրքրության բարձրացումը, և նաև այն, որ իրենց աչքերով տեսնեն ու համեմատեն պատկերի և առարկայի չափերը՝ առարկայի և ուսման միջև տարբեր հեռավորության դեպքում:

Ակտիվություն 3. Այս ակտիվության ժամանակ մինի-լեկցիայի միջոցով ցույց տվեցի աշակերտներին, թե որ բանաձևով են կապված միմյանց հետ ուսման և կիզակետային հեռավորությունը և առարկայի և պատկերի հեռավորությունները ուսմանը:

Ակտիվություն 4. Նրա համար, որ հետագայում երեխաները կարողանան բարակ ուսմանը քննարկել խնդիրների լուծման ժամանակ, հանձնարարեցի փորձի

ժամանակ ստացված տվյալներից ընտրել որևէ մեկը և ստուգել բարակ ուսմանը քննարկելու ճշմարտացիությունը:

Ակտիվություն 5. Այս ակտիվության ժամանակ աշակերտներին ցուցադրեցի, թե ինչպես է հնարավոր կառուցել առարկայի պատկերը ուսմանը տարբեր հեռավորությունների դեպքում: Այս կառուցումներն ավելի տպավորիչ և հետաքրքիր լինեու համար նախօրոք Geo-Gebra ծրագրով պատրաստել էի շարժանկար, որտեղ ներկայացված էր կառուցման հաջորդականությունը:

6-րդ և 7-րդ ակտիվությունների ժամանակ աշակերտների նոր ստացած գիտելիքները հին կապելու կարողության ստուգման նպատակով, հանձնարարեցի անհատապես փորձել ցրող ուսմանը պատկերի կառուցումը: Աշակերտներից ոմանք հեշտությամբ կատարեցին առաջադրանքը, իսկ այն աշակերտներին, որոնք ղժվարացան կառուցել, նախօրոք Geo-Gebra ծրագրով պատրաստված շարժանկարով ցուցադրեցի կառուցման հաջորդականությունը:

Ուսումնական նյութի ամրապնդման նպատակով՝ աշակերտներին հանձնարարեցի տնային առաջադրանք, որոնցից առաջին երկուսը խնդիր էին բարակ ուսմանը քննարկելու կիրառմամբ, իսկ երրորդը՝ հավաքող և ցրող ուսմանը պատկերի կառուցման վերաբերյալ էր:

Ողջ դասն անցավ շատ հետաքրքիր, և որն ամենակարևորն է՝ առողջ միջավայրում: Ամբողջ դասարանն ակտիվորեն ներգրավված էր բոլոր ակտիվություններում:

Դասի ուժեղ կողմերն էին ակտիվությունների ճիշտ ընտրությունը, ռեսուրսների բազմազանությունը, ժամանակի ճիշտ բաշխումը և լիմիտի պահպանումը: Նաև Geo-Gebra ծրագրով պատրաստված շարժանկարները, որոնք ոչ միայն հետաքրքիր էին աշակերտներին համար, այլև օգնեցին ժամանակ շահել դասի ժամանակ:

Դասի թույլ կողմերից կարող եմ նշել այն, որ փորձի անցկացման ժամանակ ուսմանը տարբեր և պատկերի միջև հեռավորության չափման համար օգտագործում էինք թել և քանոն, որը երկար ժամանակ էր պահանջում: Այս դեպքում ավելի նպատակահարմար է մետրի օգտագործումը:

Դասի պլանի կամ ակտիվությունների փոփոխման կարիք չեղավ:

ახალი სკოლის მოდელი

იდეა, აზრობრივი კონსტრუქტია, რომელიც განაპირობებს აზროვნების ორგანიზებას, სტრუქტურირებას, კომპლექსური დავალებით, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად, ინტერაქტიურად გამოყენებას.


მეხუთე პრინციპი – სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლის სწავლა? იმიტომ, რომ ეს გულისხმობს იმ საშუალებების დაუფლებას, რომლითაც ცოდნას განვითარებთ. სწავლაში კი მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ამ საშუალებებს ფლობს. ეს ნიშნავს:

- ❖ ცოდნის განვითარების საშუალებების დაუფლებას;
- ❖ სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვას;
- ❖ საკუთარ თავში რესურსების პოვნას დაბრკოლებათა გადასაღებად;
- ❖ სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

რით უწყობს ხელს „ახალი სკოლის მოდელი“ პედაგოგიკა სწავლის სტრატეგიების დაუფლებას? „ახალი სკოლის მოდელი“ პედაგოგიკა სწავლის პედაგოგიკა და, შესაბამისად, ორიენტირებულია სწავლის პროცესზე, პროცესის მხარდაჭერაზე. მეტაკოგნიტიური რეფლექსიები გასდევს მთელ პროცესს, რაც აისახება თემატური მატრიცების საკვანძო შეკითხვებში. მაგალითად, როგორ ვიმუშავო კომპლექსურ დავალებას? რა ნაბი-

ჯები გადავდგა? რა ცოდნა-გამოცდილება დამჭირდება თითოეული ნაბიჯისთვის? ან – რა სტრატეგიები გამოიყენე დავალების განსახორციელებლად? რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე დავალების შესრულებას? ამ მეტაკოგნიტიური აქტივობის შედეგად, მოსწავლეები სწავლობენ სააზროვნო პროცესების გაცნობიერებულად მართვას, სტრატეგიების გამოყენებას, რაც ზრდის მათი სწავლის ქმედუნარიანობას და აუმჯობესებს მათ მიღწევებს. ყველა მოსწავლეს აქვს განცდა იმისა, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც მას კი არ განსჯიან, არამედ ეხმარებიან საკუთარი შესაძლებლობის განვითარებაში.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს აქტივობის ორმაგი ფუნქცია.



წყარო: USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მომზადებული ვიდეორგოლი



„თბილისი – ნიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“-ის ფარგლებში თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ნიგნებით შევსება დაიწყო

„თბილისი – მსოფლიო ნიგნის დედაქალაქი 2021“-ის ფარგლებში, თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების გაუჩერების პირველი ეტაპი დაიწყო. პროექტი თბილისის მერიის, თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანი-

ზებით ხორციელდება. პროექტის პირველი ეტაპი ნუმერაციული თანმიმდევრობით მოიცავს თბილისის 62 საჯარო სკოლას. თითოეულ სკოლას 900 ლარის ღირებულების გაუჩერი გადაეცემა, რომლითაც საქართველოში მოქმედი 30-ზე მეტი გამომცემლობისა და ნიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციის ნიგნებს შეიძენენ. პროექტის მიზანია თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების უახლესი გამოცემებით შევსება, სკოლის მოსწავლეების თანამედროვე ლიტერატურულ პროცესთან დაახლოება და ნიგნიერების ხარისხის გაზრდა.

ვაუჩერიზაციის პროექტი 2021 წელსაც გაგრძელდება და წლის ბოლომდე, თბილისის ყველა საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ნიგნადი ფონდი განახლდება. „თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ახალი ნიგნებით შევსება პროექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ის რამდენიმე ეტაპად განხორციელდება და ყველა საჯარო სკოლას მოიცავს. ვაუჩერიზაციის პროექტი მნიშვნელოვანია როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ისე ადგილობრივი გამომცემლებისთვის, რომლებიც პანდემიის გამო მნიშვნელოვნად დაზარალდნენ“, – განაცხადა თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და პროექტ „თბილისი-ნიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“-ის დირექტორმა, ნინია მაჭარაშვილმა.

საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე გვანცა ჯობავა ამბობს, რომ მათთვის ბიბლიოთეკების ნიგნადი ფონდე-

ბის შევსება ყოველთვის პრიორიტეტული იყო, ამიტომ, წლების განმავლობაში, ნიგნებით ამარაგებდნენ საქართველოს რეგიონულ ბიბლიოთეკებს. ამ პროექტმა კი, უნიკალური შესაძლებლობა მისცათ, ამჯერად, თბილისის სკოლის ბიბლიოთეკები შეავსონ. „ეს მოგვცემს საშუალებას, ათასობით ბავშვისა და მათი მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ თანამედროვე ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურა, სკოლა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესი დავახლოოთ ერთმანეთს, სკოლის ბიბლიოთეკა კი მოსწავლეებისთვის ბევრად მიმზიდველ სივრცედ გადავაქციოთ, სადაც ახალი ნიგნი აუცილებლად მოიყვანს ახალ მკითხველს“.

➤ UNESCO-ს გადაწყვეტილებით, თბილისი ნიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს, 2021 წლის 23 აპრილს, კუალა ლუმპურისგან გადმოიბარებს. პროექტის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში, დაგეგმილია 100-ზე მეტი საგანმანათლებლო, შემეცნებითი, ინფრასტრუქტურული, მასობრივი და საბავშვო პროექტის განხორციელება.

➤ UNESCO World Book Capital (ნიგნის მსოფლიო დედაქალაქი) ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2002 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. ის მიზნად ისახავს ნიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს ნიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკებისა და გამომცემლების ხელშეწყობას.



გურული ქალების მორიგი სასწაული

ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბმა „გურიამ“ მორიგი სენსაციური შემოგთავაზა – ჩემპიონთა თასზე კიდევ ერთი მატჩი მოიგო და უკვე 1/16-ფინალში გავიდა! გურულმა ქალებმა ამჯერადაც სტუმრად იმარჯვეს – რუმინეთის ქალაქ კლუშ ნაპოკაში იქაურ „უნი-

ვერსიტატას“ 1:0 სძლიეს. მორიგი ისტორიული გოლი კვლავაც გუნდის ბომბარდირმა, ხატია ყყონიამ გაიტანა 68-ე წუთზე, გააზრებული და ლამაზი კომბინაციით – ყყონიამ საკუთარი ნახევრიდან ირინა ხაბურძანიას კარძელი და უზუსტესი პასი მიიღო, ბურთი კარგად დაამუშავა, ორი მეტოქე მშვენიერი მანევრით გააუფრებლდა და საჯარიმოს შორეული კუთხიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. ბუნებრივია, ამ შეხვედრაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა არა გადაწყვეტს და არსებითს. მეტიც – ლანჩხუთელებს კიდევ ერთი გოლი არ ჩაუთვალეს, ერთხელ კი ძელსაც გაარტყეს ბურთი. თავის მხრივ, კარგად ითამაშა ლანჩხუთელთა მეკარემაც და მასპინძლებს გოლი არ გაატანინა. შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთელებმა ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში ყაზახეთში იმარ-

ჯვეს – 2:0. ყყონიამ მაშინ დუბლი შეასრულა, ერთ-ერთ გოლში კი ასისტენტობა იქაც ხაბურძანიამ გაუწია. ყყონიამ რუმინეთში გატანილი გოლი გარდაცვლილ დისპეილს მიუძღვნა – შიდა მაისური გამოაჩინა, რომელზეც მისი სურათი იყო გამოსახული.

ამით ქალთა ჩემპიონთა ლიგაზე საკვალიფიკაციო რაუნდები დამთავრდა, ახლა კი გათამაშება, პლეი ოფის პრინციპით, 1/16-ფინალიდან გაგრძელდება. აქ უკვე გათამაშებაში განთესილი კლუბებიც ჩაებმებიან, მათ შორის კი ისეთი გიგანტებიც არიან, როგორც: „ბარსელონა“, „ბაიერნი, მსუ“, „ჩელსი“, „მანჩესტერ სიტ“, მადრიდის „ატლეტიკო“ და სხვებია. მათი უმეტესობა მსოფლიოს უმდიდრესი კლუბია, ამ დროს კი ლანჩხუთელებს ისედაც გროშები აქვთ ხელფასი და თურმე იმასაც ვერ იღებენ – რუმინეთში გამგზავრების წინ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა მისამართით სოციალურ ქსელში ირონიული რეპლიკა გაავრცელეს, ახლაც თუ მოვიგეთ, მაშინ მაინც მოგვცემთ ხელფასებსო? თუმცა, მოგვიანებით, იმავე სოციალური ქსელების დახმარებით, გურულთა და მით ქართული ქალთა ფეხბურთის გასაჭირზე ისეთები გავიგეთ, იმ კლუბებს არც კი დაესიზმრებათ: თურმე გუნდს 4 თვის ხელფასი არ მიუღია, რუმინეთში წასვლის წინ კლუბის ხელმძღვანელობას, სესხად აღებული თანხით, ორი თვის ხელფასი მიუცია, რათა გოგონებს... პირადი პიგინის საშუალებები მაინც ეყიდათ. ერთს ამ თანხიდან სპორტული ფორმაც შეუძენია, ერთს კი, როგორც გოგონები გავრცელებულ ვიდეოში ამბობენ, რუმინეთშიც დახეული ბუცებით უთამაშია. თუმცა, ხელფასი და სპორტული ფორმა არაა კლუბის ერთადერთი გასაჭირი – ელემენტარული პირობების არქონის გამო, თურმე, ერთ ოთახში 5-6 ცხოვრობს ერთად, ზამთარში, თამაშის შემდეგ, სპორტულ ფორ-





„ჩემი სურათები ხილული ვაძო-
ლახსაღებია. მოძღვრებიც აზი-
ფროს ქალაქენ... ისინი აღძრა-
ვენ ლიდერობს და მოცა ვი-
ლაც ხელაღს ჩემს მოძღვრებ-
სურათს. ის თავის თავს რეიტხე-
ბა: „ნის ნიძნავს ეს?“ ეს
აზიფროს აზ ნიძნავს. იმიტომ
ნომ აზც ლიდერობს ნიძნავს
ნომეს. ის ამოყენობია.“



აქოუხნობი რენა მარკიტი

ბეღიელი სიუჟეტის მხატვრის, ხენ მარკიტის ნამუშევრების ბოლომ-
დე ამოხსნა შეუძლებელია, მათ შორის ახის მისი ცნობილი ტილო „შეყავი-
ბელები“, ხომლის მიი ვეხსია ახსებობს. მიივე ნამუშევარში ქალს და ჯაცს
სახეზე თეთრი ნაჭი აქვთ შემოხვეული, ჰიხვე ვახიანტში, ისინი მაცუხე-
ბისკენ იყუებთან, მუიხეში ეი - ეითმანეთს ეოცნიან. მიივე ნამუშევარი
1928 წელს ახის შეხულებელი.

ხესტად ახავინ იცის, ხა იყო ხენ მარკიტისთვის ამ ნამუშევრების ინსპი-
რაცი. ეით-ეითი ვეხსიის თანახმად, ხოქესაც ის ცამეტი წლის იყო, მარკიტის
ეღამ თავი მოიქცა და მისი ცხედარი მინახე სამხეში იპოვენს. ჰატახა ხე-
ნე ამ სცენას ეხნებოდა. ეღას სახეს ლამის ჰეხანგის ნანილი უქახავდა, ამ
ეჯტმა ეიდი გავენა მოახინა მომავალ მხატვარზე. ამბობენ, ხომ მისი ეს
ნახატები, სწოხედ ამ სცენის ანახელია.

ხომიხც ამბობენ, ხენ მარკიტს ახ ეყვარდა თავისი ნახატების შინახსი-
სა და მათში ჩადებული „საიდუმლოების განმარტება“. მისი ნამუშევრები,
ბში შემთხვევაში, გამოსახვენ ჩვეუღ, ყოვეღლიუხ საგნებს „ახარველებ-
ხივ“ ეონტექსტში. ის ყოვეღთვის ცელიობდა, ახალი მნიშვნელობები ჩადო მათში. გენიოსი თავის ნახატებზე საუბრისას, ამბობდა,
ხომ ისინი ახაფეხს მადვენს.

ეს იყო გაუხვევლობის გიძნობა, ხომელიც ასე ხიბლავდა მარკიტს და გამოაჩვენა სხვა თანამედროვე სიუჟეტისკენ. მისი
სტატეჟი, გაყინული ფიგურები ალოქებენ მისტიკიას და ბშიხად უქხო მეტს გამოსატყვენ, ვიდეუ ხეღისტი მხატვრების ტილოები.
სახის დამადვა 2020 წლის სიმბოლოე იქცა და ხენ მარკიტის „შეყავიბელები“ განსაქუთიებით აქტუაღი გახდა.



**„სახალი განათლება“
პროექტის
გამომცემლობა**

ხელმოწერის თანხა გადმორიცხებთ რეკვიზიტებზე:
 მიმღავი – შპს „სახალი განათლება“, ს/კ 202058735,
 ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
 შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

წიგნის თარი

**ტესტები ქართულ
ლიტერატურაში
პროფესიული
გამოცდისათვის**

წიგნი I
V-VIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი III
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

**ინოვაციური
გაკვეთილები
დაწყებით კლასებში**

**ქართული (I-VI კლ.)
მასწავლებელთა
გამოცდისათვის**

**პროფესიული
უნარები
თეორიული მასალა**

**ტექსტის გააზრება
ანალიტიკური წერა**

**პროფესიული უნარები
300 მნიშვნელოვანი
კითხვა-პასუხებით**